



ევროკავშირი
საქართველოსთვის



სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

“2021-2022 წლების ანტინარკოტიკული სამოქმედო გეგმის” შესრულების მონიტორინგის ანგარიში



**„2021-2022 წლების ანტინარკოტიკული
სამოქმედო გეგმის“ შესრულების
მონიტორინგის ანგარიში**

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

2023

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სოციალური სამართლიანობის ცენტრი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

კვლევაზე პასუხისმგებელი პირი: გურამ იმნაძე
კვლევის ავტორი: გიორგი ფოცხვერიშვილი, თამარ ფაჩულია
ყდის დიზაინი: სალომე ლაცაბიძე
დაკაბადონება: თორნიკე ლორთქიფანიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, სოციალური სამართლიანობის ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: *სოციალური სამართლიანობის ცენტრი, გიორგი ფოცხვერიშვილი, თამარ ფაჩულია, «2021-2022 წლების ანტინარკოტიკული სამოქმედო გეგმის» შესრულების მონიტორინგის ანგარიში, 2023.*

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 032 2 23 37 06

www.socialjustice.org.ge
info@socialjustice.org.ge
<https://www.facebook.com/socialjustice.org.ge>

სარჩევი

შესავალი და სტრუქტურა	6
ანგარიშის მეთოდოლოგია და ლიმიტაცია	9
ძირითადი გამოწვევები	12
თემატური ბლოკები	14
1. პრევენცია	14
2. მკურნალობა და რეაბილიტაცია	16
3. ზიანის შემცირება	17
4. მიწოდების შემცირება	18
5. მკურნალობა, რეაბილიტაცია და ზიანის შემცირება თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებსა და პრობაციის სისტემაში	19
6. სტიგმისა და დისკრიმინაციის დაძლევა	20
7. საკანონმდებლო ბაზის დახვეწა	21
8. მონაცემთა შეგროვება და ანალიზი	23
9. პოლიტიკის განვითარება, კოორდინაცია და საერთაშორისო თანამშრომლობა	24
შეჯამება და რეკომენდაციები.....	26
დანართები	29
დანართი №1	29
დანართი №2	32
დანართი №3	34
დანართი №4	36
დანართი №5	39
დანართი №6	42
დანართი №7	43
დანართი №8	44
დანართი №9	47

შესავალი და სტრუქტურა

მიმდინარე წლის დასაწყისში, „2023-2030 წლების ნარკოპოლიტიკის ეროვნული სტრატეგიის“¹ დამტკიცებამდე, ქვეყანაში მოქმედებდა 2013 წელს მიღებული „ნარკომანიასთან წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგია“, რომელიც ნარკოპოლიტიკის მიმართულებით პირველ პოლიტიკის დოკუმენტს წარმოადგენდა.² სტრატეგია კონკრეტულ სფეროში მთავრობის პოლიტიკას განსაზღვრავს და მისი აღსრულება, როგორც წესი, სამოქმედო გეგმის მეშვეობით ხდება, რომელიც ოპერატიული სახის პოლიტიკის დოკუმენტია და სტრატეგიაში წარმოდგენილი მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად კონკრეტულ ღონისძიებებს განერს.³ 2013 წლის ნარკოპოლიტიკის ეროვნული სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანების შესრულების მიზნით, ქვეყანაში მოქმედებდა 2014-2015,⁴ 2016-2018⁵ და 2019-2020⁶ წლების „ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმები“, რომელთა შესრულების ჭეროვანი მონიტორინგი არ განხორციელებულა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათშორისმა საბჭომ 2021 წლის დასაწყისში დაამტკიცა 2021-2022 წლების ანტინარკოტიკული სამოქმედო გეგმა.⁷ მითითებული პოლიტიკის დოკუმენტი მიემართება 2013 წლის „ნარკომანიასთან წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგიით“ განსაზღვრულ ამოცანებს, თუმცა საგულისხმოა, რომ სამოქმედო გეგმა სტრატეგიის მიღებიდან ხანგრძლივი დროის გასვლის შემდგომ, შეცვლილ კონტექსტსა და არსებითად განსხვავებულ რეალობაში შემუშავდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასურველი იქნებოდა, რომ 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა შეიცავდეს სიტუაციის განახლებულ ანალიზს, რითაც უფრო მკაფიო გახდებოდა, თუ რომელი კონკრეტული მოცემულობებისა და გამოწვევების მხედველობაში მიღებით შემუშავდა წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა და რამდენად მიესადაგება ამოცანები და აქტივობები ქვეყანაში ნარკო და ადიქციის პოლიტიკის კუთხით არსებულ მთავარ საჭიროებებს.

1 „ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგია“, 2023. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/CwQ3Y0mc>.

2 „ნარკომანიასთან წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგია“, 2013. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/zwQ3UkW8>.

3 პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო, 2020. გვ. 10.

4 „ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა“. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/CwQ3IEfG>.

5 „ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმა“. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/lwQ3OqPc>.

6 „ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა“. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/QwQ3Obmr>.

7 2021-2022 წლების ანტინარკოტიკული სამოქმედო გეგმა, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/1wQ3O3tV>.

2021-2022 წლების ანტინარკოტიკული სამოქმედო გეგმა ცხრა თემატური ბლოკისგან/მიმართულებისგან შედგება. ეს მიმართულებებია:

1. პრევენცია;
2. მკურნალობა და რეაბილიტაცია;
3. ზიანის შემცირება;
4. მიწოდების შემცირება;
5. მკურნალობა, რეაბილიტაცია და ზიანის შემცირება თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებსა და პრობაციის სისტემაში;
6. სტიგმისა და დისკრიმინაციის დაძლევა;
7. საკანონმდებლო ბაზის დახვეწა;
8. მონაცემთა შეგროვება/ანალიზი;
9. პოლიტიკის განვითარება, კოორდინაცია და საერთაშორისო თანამშრომლობა.

თემატური ბლოკები ჯამურად 25 ამოცანას (Objective) და ამ ამოცანების შესრულებისკენ მიმართულ შედეგებით ვიწრო შინაარსის 82 ღონისძიებას (Activity) აერთიანებს. ამასთან, სამოქმედო გეგმა, მეტწილად შეიცავს იმ რეკვიზიტებს, რომელსაც ოპერაციული დაგეგმვის დოკუმენტი უნდა ითვალისწინებდეს. ეს რეკვიზიტებია: შეფასების ინდიკატორები, საბაზისო და სამიზნე მონაცემები, განხორციელების ვადები, პასუხისმგებელი და პარტნიორი ორგანიზაციები და დაფინანსების წყარო.⁸

შესწავლის პროცესში გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი, რაც გაუმჯობესებას საჭიროებს და სამოქმედო გეგმის სრულყოფილი იმპლემენტაციისთვის არსებითად მნიშვნელოვანია. გამოვლენილი ხარვეზები, პირველ რიგში, შესაძლოა თავად სამოქმედო გეგმის განმახორციელებელი, ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორის საბჭოში შემავალი სახელმწიფო უწყებებისთვის იქცეს გამოწვევად. კერძოდ, სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული არ არის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა: ამოცანისთვის ან ღონისძიებისთვის საჭირო ბიუჯეტის უშუალო წარმომავლობა და მოცულობა. აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმის თითოეულ აქტივობას სავალდებულოდ უნდა ერთვოდეს კონკრეტული ბიუჯეტი ეროვნულ ვალუტაში, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტით აქტივობის დაფინანსების შემთხვევაში, წარმოსადგენია იმ პროგრამის კოდი, რომლის ფარგლებშიც ფინანსდება აღნიშნული აქტივობა.⁹ ამ ინფორმაციას მოცემულ

8 ამ ელემენტებიდან ანგარიშის დანართებში მხოლოდ განსახორციელებელი ღონისძიებები, შეფასების ინდიკატორები, საბაზისო, სამიზნე მონაცემები და პასუხისმგებელი უწყებები იქნება ასახული (შეფასების სტატუსის მითითებით), ვინაიდან გეგმის შესრულების შეფასების მიზნებისთვის ეს ასპექტებია ყველაზე რელევანტური.

9 პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს დანართები, 2020. დანართი 4. გვ. 26-28; დანართი 9, გვ. 53-54.

სამოქმედო გეგმაში ვერ ვხვდებით. სამოქმედო გეგმის აქტივობებში, ყოველ ჯერზე მითითებულია მხოლოდ დაფინანსების წყარო, სადაც სიტყვიერად აღნიშნულია ან სახელმწიფო ბიუჯეტი ან დონორული დაფინანსება – კონკრეტული პროგრამის კოდის ან დონორული სახსრებით დაფინანსებული პროექტის სახელწოდების/ნომრის მითითების გარეშე.

მეორე გამოწვევა, რომელიც დოკუმენტის ძირითადი რეკვიზიტების შესწავლის პროცესში გამოიკვეთა, აქტივობის შესასრულებლად დანესებული ვადებია. 82 ღონისძიებიდან, მხოლოდ 8 ღონისძიებას აქვს დადგენილი შესრულების 1 წლიანი ვადა, დანარჩენი ღონისძიების შესრულების ვადად კი სამოქმედო გეგმის მოქმედების 2 წლიანი ვადა, შესაბამისად, 2021-2022 წლებია მითითებული. დადგენილი სტანდარტების თანახმად, აქტივობის ვადაში უნდა მიეთითოს მისი შესრულების საბოლოო ვადა, მინიმუმ საანგარიშო წლის კვარტლის სიზუსტით.¹⁰ აღნიშნული მნიშვნელოვანია სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ეტაპზე, აქტივობის განხორციელების დონის გამოთვლისთვის.

გამოკვეთილ ზოგად ხარვეზებს შორისაა ინდიკატორთა არასაკმარისი მკაფიოობაც. დამკვიდრებული სტანდარტების მიხედვით, აუცილებელია რომ აქტივობებს (Activity) და ამოცანებს (Objective) ჰქონდეთ ინდივიდუალური ინდიკატორები,¹¹ თუმცა მოცემული სამოქმედო გეგმა მხოლოდ ერთ, „გეგმის განხორციელების შეფასების ინდიკატორს“ მოიცავს. აღნიშნული ართულებს აქტივობის შესრულების ან ამოცანით დასახული მიზნების შესრულების ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ანალიზს.

ამ ანგარიშის მიზანია 2021-2022 წლების ანტინარკოტიკული სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი. დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია ამოცანებისა და აქტივობების შესრულების რაოდენობრივ მახასიათებლებზე და მის ფოკუსს არ წარმოადგენს თავად სამოქმედო გეგმის შინაარსობრივი შეფასება, მისი მასშტაბურობის თუ საკმარისობის საკითხის განხილვა.

10 იქვე, გვ. 28; პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო, 2020. გვ. 31.

11 პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს დანართები, 2020. დანართი 2, გვ. 11.

ანგარიშის მეთოდოლოგია და ლიმიტაცია

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს 2021-2022 წლების ანტინარკოტიკული სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიშს (Monitoring Report). იგი არსებითად განსხვავდება სამოქმედო გეგმის შეფასების ანგარიშისგან (Evaluation Report). როგორც მონიტორინგი, ისე შეფასება სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულებაზე ზედამხედველობის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტებია, თუმცა მათ შორის არსებით განსხვავებას წარმოადგენს პოლიტიკის შეფასების მასშტაბი და მეთოდოლოგია.¹²

მონიტორინგის ძირითად ფოკუსს წარმოადგენს აქტივობებსა და აქტივობების ინდიკატორების (Output Indicator) მიღწევაზე ზედამხედველობა (იმ შემთხვევაში, თუ სამოქმედო გეგმის ამოცანას დამატებით არ აქვს ამოცანის ინდიკატორები), ხოლო შეფასება მიზნად უფრო მასშტაბური დასკვნის გამოტანას ისახავს. კერძოდ, შეფასების ანგარიში შეისწავლის პოლიტიკის დოკუმენტით დადგენილი მიზნების (Goals) და ამოცანების (Objectives) შესრულების შედეგებსა და გავლენას, შესაბამისად, ორიენტირებულია ამოცანების ინდიკატორებსა (Outcome Indicator) და გავლენის შეფასების ინდიკატორებზე (Impact Indicators).¹³

მოცემულ დოკუმენტში, სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები და მათი შედეგები, რამოდენიმე მიმართულებით არის გაანალიზებული. პირველ რიგში, მიღწეული პროგრესი შეფასდა ერთიანად, შესაბამისად, დაანგარიშდა და დაჯამდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების სტატუსი. გარდა ამისა, დოკუმენტში გაანალიზებულია თემატური ბლოკების ფარგლებში შესრულებული ღონისძიებები, შესაბამისად, ინდივიდუალურად არის გამოყოფილი ცხრავე თემატური ბლოკი და შეჯამებულია თითოეული მიმართულებით არსებული მთავარი გამოწვევები. ბოლოს კი, აქტივობების შესრულების სტატუსი გაანალიზებულია შესრულებაზე პასუხისმგებელ ორგანოთა კონტექსტში, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოკვეთილია ის საჯარო დაწესებულებები, რომელთა მიერ სამოქმედო გეგმის ფარგლებში გაწერილ აქტივობათა განხორციელების მაჩვენებელი ყველაზე მაღალია ან სადაც საჭირო ღონისძიებათა განხორციელება არსებით გამოწვევას წარმოადგენს.

როგორც აღინიშნა, სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი, აქტივობების განხორციელების შეფასებასთან ერთად, ამოცანებით განსაზღვრული შედე-

12 პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო, 2020. გვ. 41.

13 პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო, 2020. გვ. 25-26.

გების მიღწევის პროგრესის ანალიზსაც ითვალისწინებს,¹⁴ თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ სამოქმედო გეგმა არ ითვალისწინებს თავად ამოცანების შესრულების ინდიკატორებს (Outcome Indicator), კვლევითი ჯგუფი მოკლებულია ამოცანების შესრულების პროგრესის შეფასების შესაძლებლობას.

კვლევითი ჯგუფის მიერ შემუშავდა აქტივობების შესრულების 4 დონე/კატეგორია,¹⁵ რომლებიც შემდეგნაირი პრინციპით იქნება გამოთვლილი:

1. არ შესრულდა – 0 %
2. ნაწილობრივ შესრულდა – 1% – 50%
3. მეტწილად შესრულდა – 51% – 99%
4. შესრულდა – 100 %

გარდა ამისა, მონიტორინგის დოკუმენტში შევხვდებით მე-5 კატეგორიას – ვერ დადგინდა. აღნიშნულ კატეგორიაში გაერთიანდება ყველა ის აქტივობა, რომელთა შესახებ ინფორმაციის მოძიებაც ვერ მოხერხდა, ან რომელზეც კვლევის გუნდს ინფორმაცია იმგვარად არასრულყოფილი სახით მოენოდა, რომ შეუძლებელია აქტივობის შესრულების სტატუსის რომელიმე ზემოაღნიშნულ კატეგორიაში შეყვანა.

2021-2022 წლების ანტინარკოტიკული სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის დოკუმენტი მეტწილად გამოთხოვილ საჯარო ინფორმაციას ეყრდნობა. დოკუმენტზე მუშაობის პროცესში, სამოქმედო გეგმის შესრულების მიზნით ოფიციალური წერილი გაიგზავნა როგორც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათშორის საბჭოში, ისე მასში შემავალ უწყებებში, ასევე ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნულ ცენტრში. ჯამში, სოციალური სამართლიანობის ცენტრმა 18 უწყებაში გაგზავნა 22 განცხადება და მათგან მხოლოდ 12 უწყებისგან მიიღო პასუხი. კვლევის გუნდს ანგარიშის მომზადებისთვის საკმარისი ინფორმაციის მოსაპოვებლად რამდენიმე თვე დასჭირდა. ზოგიერთი საჯარო დაწესებულებისგან ინფორმაცია ანგარიშის ავტორებს დროულად მიეწოდათ, შესაბამისად, რიგ შემთხვევებში ცალკეული მონაცემები შესაძლოა რამდენიმე თვით ადრინდელ, მაგალითად, 2023 წლის გაზაფხულის მდგომარეობით ვითარებას აღწერდეს, ხოლო ზოგ შემთხვევაში კი მონაცემები გაზაფხულის ვითარებას მიემართებოდეს. ანგარიშის მეორეულ წყაროს ნარკოპოლიტიკის ეროვნული სტრატეგი-

14 პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს დანართები, 2020, დანართი 7, გვ. 40.

15 იქვე, გვ. 41-42.

ის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა¹⁶ წარმოადგენს, ვინაიდან ამ გეგმით გათვალისწინებული საბაზისო მონაცემები, წესით, 2022 წლის ბოლოსთვის არსებულ რეალობას ასახავს.

ანგარიშის სტრუქტურა სამოქმედო გეგმის თემატურ ბლოკებს მიყვება და თითოეული ღონისძიების შესრულების სტატუსს ამ ღონისძიებაზე პასუხისმგებელი უწყებიდან გამოთხოვილი საჭარო ინფორმაციის მიხედვით ადგენს. თითოეულ თემატურ ბლოკს ანგარიშის ბოლოს შესაბამისი დანართი ახლავს, სადაც დეტალურად არის წარმოდგენილი განსახორციელებელი ღონისძიებების ჩამონათვალი და შესრულების სტატუსი.

¹⁶ ნარკოპოლიტიკის ეროვნული სტრატეგიის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/PwQ8jw8>.

ძირითადი გამოწვევები

არასრულყოფილი რეკვიზიტების გარდა, ცალკეული თემატური მიმართულებების ანალიზის პროცესში გამოიკვეთა სხვა გამოწვევებიც, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენს ღონისძიებების/ამოცანების მონიტორინგზე. ამ გამოწვევებმა სამოქმედო გეგმის შესრულების სრულყოფილი (რაოდენობრივი, შინაარსობრივი) შეფასება და შესრულებული ამოცანების ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა არსებითად გაართულა.

გეგმის შესრულების მონიტორინგის პროცესში ძირითად გამოწვევებს წარმოადგენდა:

- საჯარო ინფორმაციის ხელმიუწვდომლობა – უწყებების მიერ ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა ან/და არასრულყოფილი ინფორმაციის მოწოდება. განსაკუთრებით ეს ეხება ჯანდაცვის სამინისტროს,¹⁷ ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრსა¹⁸ და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს.¹⁹ ამ უწყებებმა ინფორმაცია მოთხოვნიდან 6 თვის შემდეგაც კი არ მოგვანოდეს.
- უწყებებს შორის არასათანადო კოორდინაცია და პასუხისმგებლობის გამიჯვნის გამოწვევები – საჯარო უწყებების ნაწილმა (მაგ: შინაგან საქმეთა სამინისტრო, სსიპ შემოსავლების სამსახური) საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადება იუსტიციის სამინისტროს გაუგზავნა, მაშინ როდესაც ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი სწორედ ეს კონკრეტული უწყება/უწყებები იყო. განცხადების გადამისამართების შემდეგ კი არც იუსტიციის სამინისტროს მოუწოდებია მოთხოვნილი ინფორმაცია სრულყოფილი ფორმით.
- ინდიკატორების/სამიზნე მონაცემების ბუნდოვანება – სამოქმედო გეგმაში ვხვდებით არაერთ ღონისძიებას, რომელსაც არ აქვს კონკრეტული სამიზნე მონაცემი, რაც იმას ნიშნავს, რომ რელევანტური ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაშიც კი შეუძლებელი ხდება ღონისძიების შესრულების სტატუსის განსაზღვრა. მაგალითად: სამოქმედო გეგმაში ცალკეული ღონისძიების შეს-

17 სოციალური სამართლიანობის ცენტრის 2023 წლის 01 მაისის გ01/146 წერილი ჯანდაცვის სამინისტროს, განმეორებითი წერილი 26.06.2023 (გ01/18).

18 სოციალური სამართლიანობის ცენტრის 2023 წლის 02 მაისის გ01/155 წერილი ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრს. განმეორებითი წერილი 21.06.2023 (გ01/15).

19 სოციალური სამართლიანობის ცენტრის 2023 წლის 08 მაისის გ01/161 წერილი სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს.

რულების ინდიკატორად – „ბენეფიციართა რაოდენობა“²⁰ არის მითითებული, სამიზნე მდგომარეობაში კონკრეტული რიცხოვრივი მონაცემის დაკონკრეტების გარეშე. ამასთან – გეგმის ზოგიერთი პუნქტი სამიზნე მონაცემების ველში შეფასებით ცნებებს იყენებს, რის გამოც რთული ხდება ღონისძიების შესრულების სტატუსის დადგენა, ამასთან განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა ანგარიშის შესრულების მონიტორინგის მიზნებისთვისაც. მაგალითად: სამოქმედო გეგმის 4.3.4 პუნქტი²¹ სამიზნე მონაცემად განსაზღვრავს შემდეგს – „სამინისტრო აქტიურად აგრძელებს ნარკოტიკებით ვაჭრობის გამოვლენასა და აღკვეთას“. რაოდენობრივი მონაცემების არარსებობა ბუნდოვანს ხდის – რა უნდა ვიგულისხმოთ სამინისტროს აქტიურ მუშაობაში, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ ამ ღონისძიების ინდიკატორებს კონკრეტული მონაცემები – სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემული ნარკოტრეალიზატორებისა და გამოვლენილი ინტერნეტ მაღაზიების რაოდენობა წარმოადგენს.

- შეუსაბამობა ინდიკატორებსა და სამიზნე მდგომარეობას შორის – სამოქმედო გეგმა ზოგიერთ ღონისძიებასთან მიმართებით 2 ან მეტ ინდიკატორს ითვალისწინებს, სამიზნე მდგომარეობაში კი მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს აკონკრეტებს. მაგალითად: გეგმის 4.1.2²² პუნქტი შეფასების 3 ინდიკატორს ადგენს. ესენია: განხორციელებული პროგრამები, ტრენინგების რაოდენობა და გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა. სამიზნე მდგომარეობის ნაწილში კი მხოლოდ ერთ-ერთი ინდიკატორის (გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა) რიცხოვრივი მონაცემია დაკონკრეტებული. შესაბამისად, გაურკვეველია, რამდენი პროგრამა ან/და ტრენინგი უნდა ჩატარებულიყო საანგარიშო პერიოდში, რომ ღონისძიება შესრულებულად ჩავთვალოთ.

20 მაგალითად: სამოქმედო გეგმის 1.2.1 პუნქტი.

21 ნარკოტიკული საშუალებების და აფნ-ის გასაღების (მათ შორის ონაინ ვაჭრობა) წინააღმდეგ ძალისხმევის გაძლიერება.

22 სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომელთა მომზადება/გადამზადება.

თემატური ბლოკები

1. პრევენცია

სამოქმედო გეგმის პირველი თემატური ბლოკი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების პრევენციის საკითხებს უკავშირდება. გეგმის აღნიშნული ნაწილი 5 ძირითადი ამოცანისა და 13 განსახორციელებელი ღონისძიებისგან შედგება. პრევენციის მიმართულებით ძირითადად საინფორმაციო-საგანმანათლებლო შინაარსის ღონისძიებები იყო დაგეგმილი. ამ ღონისძიებების შესრულებაზე პასუხისმგებელ ორგანოდ, ძირითად შემთხვევებში, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო (შემდგომში: განათლების სამინისტრო) და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში: ჯანდაცვის სამინისტრო) იყო განსაზღვრული.

ჯანდაცვის სამინისტროს საჯარო ინფორმაცია მოთხოვნიდან²³ 6 თვის შემდეგაც კი არ მოუწოდებია. შესაბამისად, ვერ დადგინდა ვერცერთი იმ ღონისძიების შესრულების სტატუსი, რომელზეც მხოლოდ ჯანდაცვის სამინისტრო იყო პასუხისმგებელი.²⁴ რაც შეეხება განათლების სამინისტროს მიერ შესასრულებელ ღონისძიებებს, ინფორმაცია უწყებისგან²⁵ არასრულყოფილი ფორმით და ზოგიერთ საკითხთან მიმართებით განზოგადებული სახით მოგვეწოდა.²⁶ შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც გაურკვეველია ცალკეული ღონისძიებების შესრულების მდგომარეობა. არასრულყოფილი ინფორმაციის მოწოდების გამო ვერ დადგინდა ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანების შესრულების სტატუსი, როგორცაა მაგალითად: რთული ქცევისა და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნებისათვის ფსიქოაქტიური ნივთიერებების ავადმომხმარებლის პრევენცია.²⁷

23 სოციალური სამართლიანობის ცენტრის 2023 წლის 01 მაისის გ01/146 ნერილი ჯანდაცვის სამინისტროს. განმორებითი ნერილი-26.06.2023 (Nგ01/18).

24 ამ შემთხვევაში ღონისძიებების შესრულების სტატუსი ვერც 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმით განისაზღვრა.


25 განათლების სამინისტროს 2023 წლის 22 მაისის MES 2 230000577878 ნერილი.

26 მაგალითად: განათლების სამინისტრომ არ მოგვანოდა ინფორმაცია 2021-2022 წლებში ადიქციის საკითხებზე გადამზადებული მასწავლებლების რაოდენობის შესახებ (სამოქმედო გეგმის 1.3.2 პუნქტი).

27 სამოქმედო გეგმის 1.2.6 პუნქტი.

პასუხისმგებელი უწყებებისგან მიღებული ინფორმაციით, პრევენციის მიმართულებით განსაზღვრული 13 ამოცანიდან: სრულად შესრულდა 6, ნაწილობრივ -1, ხოლო ვერ დადგინდა 6 ღონისძიების შესრულების შესახებ ინფორმაცია.

შესრულების სტატუსის მიხედვით განსახორციელებელი ღონისძიებები პროცენტულად შემდეგნაირად გადანაწილდა:




2. მკურნალობა და რეაბილიტაცია

სამოქმედო გეგმის მეორე თემატური ბლოკი წამალდამოკიდებულების მკურნალობისა და რეაბილიტაციის საკითხებს უკავშირდება. გეგმის აღნიშნული ნაწილი 4 ძირითადი ამოცანისა და 8 განსახორციელებელი ღონისძიებისგან შედგება. 8 ღონისძიებიდან 7-ზე პასუხისმგებელი მხოლოდ ჯანდაცვის სამინისტრო და ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი²⁸ იყო. არცერთ მათგანს საჯარო ინფორმაცია არ მოუწოდებია, შესაბამისად, დანართის სახით წარმოდგენილი მონაცემები ძირითადად 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის საბაზისო მონაცემებს ეყრდნობა.

მკურნალობა-რეაბილიტაციის ბლოკში არაერთი მნიშვნელოვანი ამოცანა ერთიანდება. მათ შორის ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამის გეოგრაფიული გაფართოება. პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობის შესახებ განახლებული ინფორმაცია ჯანდაცვის სამინისტროს არც პროაქტიულად გამოუქვეყნებია და არც საჯარო ინფორმაციის სახით მოუწოდებია. ამ ინფორმაციას სრულყოფილად არც 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა (საბაზისო მდგომარეობის ნაწილში) შეიცავს, რაც ნიშნავს, იმას, რომ მოცემული ამოცანის შესრულების მონიტორინგი სამომავლოდაც პრობლემად რჩება.

მკურნალობა – რეაბილიტაციის მიმართულებით დაგეგმილი 8 ღონისძიებიდან: სრულად შესრულდა 2, არ შესრულდა-2, ხოლო ვერ დადგინდა 4 მათგანის შესრულების სტატუსი. შესრულების სტატუსის მიხედვით განსახორციელებელი ღონისძიებები პროცენტულად შემდეგნაირად გადანაწილდა:




28 სოციალური სამართლიანობის ცენტრის 2023 წლის 02 მაისის გ01/155 წერილი ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრს. განმეორებითი წერილი: გ01/15 26.06.2023

3. ზიანის შემცირება

სამოქმედო გეგმის მესამე თემატური ბლოკი ფსიქოაქტიური საშუალებების მოხმარების შედეგად გამოწვეული ზიანის შემცირების საკითხებს უკავშირდება. გეგმის აღნიშნული ნაწილი მხოლოდ ერთი ამოცანისა და 8 განსახორციელებელი ღონისძიებისგან შედგება.

საჯარო ინფორმაციის ხელმიწვდომლობის გამო ამოცანების შესრულების შესახებ ინფორმაციის წყაროდ 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის საბაზისო მონაცემები გამოვიყენეთ. გაირკვა, რომ 8 ღონისძიებიდან სრულად შესრულდა 3, მეტწილად -1, ხოლო ვერ დადგინდა 4 ღონისძიების შესრულების შესახებ ინფორმაცია.

შესრულების სტატუსის მიხედვით განსახორციელებელი ღონისძიებები პროცენტულად შემდეგნაირად გადანაწილდა:




4. მიწოდების შემცირება

სამოქმედო გეგმის მეოთხე თემატური ბლოკი ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების მიწოდების/უკანონო ბრუნვის შემცირების საკითხებს უკავშირდება. გეგმის აღნიშნული ნაწილი 5 ძირითადი ამოცანისა და 14 განსახორციელებელი ღონისძიებისგან შედგება. ამ ღონისძიებების შესრულებაზე პასუხისმგებელ ორგანოდ, ძირითად შემთხვევებში, შინაგან საქმეთა სამინისტროა განსაზღვრული. ამის მიუხედავად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა იუსტიციის სამინისტროს გადაუგზავნა. ამ უკანასკნელისგან კი ყველა საკითხზე სრულყოფილი ინფორმაცია არ მიგვიღია.

გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციისა და 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის საბაზისო მონაცემების მიხედვით, 14 ღონისძიებიდან სრულად შესრულდა 4, არ შესრულდა 4, ხოლო ვერ დადგინდა 6 მათგანის შესრულების შესახებ ინფორმაცია.

შესრულების სტატუსის მიხედვით განსახორციელებელი ღონისძიებები პროცენტულად შემდეგნაირად გადანაწილდა:




5. მკურნალობა, რეაბილიტაცია და ზიანის შემცირება თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებსა და პრობაციის სისტემაში

სამოქმედო გეგმის მეხუთე თემატური ბლოკი თავისუფლების აღკვეთის/შეზღუდვის დაწესებულებებსა და პრობაციის სისტემაში მკურნალობა-რეაბილიტაციისა და ზიანის შემცირების საკითხებს უკავშირდება. გეგმის აღნიშნული ნაწილი 2 ძირითადი ამოცანისა და 13 განსახორციელებელი ღონისძიებისგან შედგება. ამ ღონისძიებების შესრულებაზე პასუხისმგებელ ორგანოდ, ძირითად შემთხვევებში, სპეციალური პენიტენციური სამსახური და პრობაციის სააგენტო იყო განსაზღვრული. სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს საჯარო ინფორმაცია საერთოდ არ მოუწოდებია.²⁹ შედეგად, ამ ბლოკშიც ბევრი ღონისძიების შესრულების მდგომარეობა დარჩა უცნობი.

გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციითა და 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის საბაზისო მონაცემების მიხედვით, 13 ღონისძიებიდან სრულად შესრულდა – 1, არ შესრულდა – 2, ნაწილობრივ შესრულდა აგრეთვე 2, ხოლო ვერ დადგინდა 8 მათგანის შესრულების შესახებ ინფორმაცია.

შესრულების სტატუსის მიხედვით განსახორციელებელი ღონისძიებები პროცენტულად შემდეგნაირად გადანაწილდა:




29 სოციალური სამართლიანობის ცენტრის 2023 წლის 08 მაისის გ01/161 წერილი სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს.

6. სტიგმისა და დისკრიმინაციის დაძლევა

სამოქმედო გეგმის მეექვსე თემატური ბლოკი წამალდამოკიდებულთა მიმართ დისკრიმინაციულ მიდგომების გადალახვას უკავშირდება. გეგმის აღნიშნული ნაწილი მხოლოდ ერთი ძირითადი ამოცანისა და 4 განსახორციელებელი ღონისძიებისგან შედგება. ამ ღონისძიებების შესრულებაზე პასუხისმგებლობა სხვადასხვა დანესებულებას, მათ შორის: ჯანდაცვის სამინისტროს, პროკურატურას, იუსტიციის სასწავლო ცენტრსა და პენიტენციურ სამსახურს ჰქონდა დაკისრებული.

იუსტიციის სასწავლო ცენტრისა³⁰ და გენერალური პროკურატურისგან³¹ მიღებული ინფორმაციით, 4 ღონისძიებიდან სრულად შესრულდა 2, დანარჩენი 2 ღონისძიების შესრულების სტატუსი კი ვერ დადგინდა.

შესრულების სტატუსის მიხედვით განსახორციელებელი ღონისძიებები პროცენტულად შემდეგნაირად გადანაწილდა:



30 იუსტიციის სასწავლო ცენტრის 2023 წლის 04 აგვისტოს N14/430 წერილი.

31 გენერალური პროკურატურის 2023 წლის 29 მაისის N13/35783 წერილი.

7. საკანონმდებლო ბაზის დახვეწა

სამოქმედო გეგმის მეშვიდე თემატური ბლოკი საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესებას ეხება. გეგმის აღნიშნული ნაწილი მხოლოდ ერთი ამოცანისა და 3 განსახორციელებელი ღონისძიებისგან შედგება. ამ ღონისძიებების შესრულებაზე პასუხისმგებელ სუბიექტად არა ერთი კონკრეტული ორგანო, არამედ ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ყველა წევრი უწყებაა განსაზღვრული. საკანონმდებლო ბაზის დახვეწა ანტინარკოტიკული სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა, ვინაიდან კანონმდებლობის ცვლილების გარეშე წარმოუდგენელია ნარკოვითარების გამჯობესება და ნარკოტიკულ დანაშაულებში ბრალდებული/მსჯავრდებული პირების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება. აღნიშნულის მიუხედავად, ამ თემატურ ბლოკში განსაზღვრული ღონისძიებებიდან არცერთი არ შესრულებულა.

საანგარიშო პერიოდში (2021-2022 წლებში) ნარკოკანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განხორციელებულა, პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტები კი ფრაგმენტული და არაარსებითია. მაგალითად: საანგარიშო პერიოდში ინიცირებული კანონპროექტით, ბრუნვისათვის მკაცრად შეზღუდული ნარკოტიკული საშუალებების ნუსხას რვა ახალი ნივთიერება დაემატა.³² აგრეთვე საანგარიშო პერიოდში დაინიცირდა კანონპროექტი, რომლითაც ახლებურად განისაზღვრა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერება – ბუპრენორფინის (ე.წ. სუბუტექსის) მცირე, საშუალო (სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საწყისი), დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობები.³³

ნარკოპოლიტიკის მარეგულირებელი კანონმდებლობა ძირეულ და ფუნდამენტურ ცვლილებებს საჭიროებს. იუსტიციის სამინისტროსგან მიღებული ინფორმაციით,³⁴ საანგარიშო პერიოდში საკანონმდებლო ჩარჩოს გადახედვა და ანალიზი არ განხორციელებულა.


32 „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონის პროექტი ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/rwQ8j7NG>.

33 კანონპროექტი ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/hwQ8kpor>.

34 იუსტიციის სამინისტროს 2023 წლის 04 აგვისტოს N8888 წერილი.

პრობლემურია აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების კანონმდებლობაში ასახვის საკითხიც. 2022 წელს ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებით მიღებული არცერთი გადაწყვეტილება არ არის ასახული სისხლის სამართლის კოდექსში, რაც სამართლებრივ ბუნდოვანებას იწვევს.

შესრულების სტატუსის მიხედვით განსახორციელებელი ღონისძიებები პროცენტულად შემდეგნაირად გადანაწილდა:




8. მონაცემთა შეგროვება და ანალიზი

სამოქმედო გეგმის მერვე თემატური ბლოკი ნარკოვითარების მონიტორინგისთვის საჭირო მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის საკითხებს უკავშირდება. გეგმის აღნიშნული ნაწილი 3 ძირითადი ამოცანისა და 11 განსახორციელებელი ღონისძიებისგან შედგება. ამ ღონისძიებების შესრულებაზე პასუხისმგებელ სუბიექტად კი, ძირითად შემთხვევებში, ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრია განსაზღვრული.

გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციისა და 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის საბაზისო მონაცემების მიხედვით, 11 ღონისძიებიდან სრულად შესრულდა – 6, მეტწილად შესრულდა -2; ნაწილობრივ შესრულდა – 1; არ შესრულდა აგრეთვე -1, ხოლო გაურკვეველია 1 ღონისძიების შესრულების სტატუსი.

შესრულების სტატუსის მიხედვით განსახორციელებელი ღონისძიებები პროცენტულად შემდეგნაირად გადანაწილდა:




9. პოლიტიკის განვითარება, კოორდინაცია და საერთაშორისო თანამშრომლობა

სამოქმედო გეგმის მე-9 მიმართულება პოლიტიკის განვითარების საკითხებს უკავშირდება. გეგმის აღნიშნული ნაწილი 3 ძირითადი ამოცანისა³⁵ და 8 განსახორციელებელი ღონისძიებისგან შედგება. ამ აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელ ორგანოდ იუსტიციის სამინისტრო და ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორისი საბჭოა განსაზღვრული.

პოლიტიკისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების მიმართულებით განსახორციელებელი აქტივობები მასშტაბური და გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირებულია. შესაბამისად, ამ ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება უწყებებს შორის ფართო კოორდინაციასა და მრავალსექტორულ, სისტემურ ხედვას მოითხოვს.

იუსტიციის სამინისტროსგან გამოთხოვილი ინფორმაციით,³⁶ პოლიტიკის განვითარების მიმართულებით განსაზღვრული 8 ღონისძიებიდან, სრულად შესრულდა – 6, მეტწილად შესრულდა – 1, ხოლო არ შესრულდა 1 მათგანი.

შესრულების სტატუსის მიხედვით განსახორციელებელი ღონისძიებები პროცენტულად შემდეგნაირად გადანაწილდა:



35 სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებია: 1. ნარკოტიკების ავადმომხარებასთან ბრძოლის პოლიტიკის დახვეწა; 2. მრავალსექტორული თანამშრომლობა და კოორდინაცია ნარკოტიკების პრობლემის დასაძლევად და ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ; 3. საერთაშორისო თანამშრომლობის სრულყოფა და განვითარება.

36 იუსტიციის სამინისტროს 2023 წლის 04 აგვისტოს N 888 წერილი.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკის დაგეგმვის ბლოკში განსაზღვრული აქტივობების უმეტესობა საანგარიშო პერიოდში შესრულებულია, პრობლემურია, რომ 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა ისე მომზადდა, რომ არ შეფასებულა 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის ეფექტიანობა/მიღწეული პროგრესი. ამ ანგარიშის მომზადება ხელს შეუწყობდა ძირითადი გამოწვევების იდენტიფიცირებას, ბრძოლის სტრატეგიების დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოვლენას, რაც გათვალისწინებული იქნებოდა მომდევნო წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში. გარდა ამისა, ანგარიშის გამოქვეყნება საზოგადოების ინფორმირებულობისთვისაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა.


შეჯამება და რეკომენდაციები

თემატური ბლოკების შედეგების ჯამური ანალიზით სამოქმედო გეგმის შესრულების შემდეგი სტატისტიკა გამოიკვეთა.

82 ღონისძიებიდან:


- სრულად შესრულდა – 31;
- მეტწილად შესრულდა – 4;
- ნაწილობრივ შესრულდა – 5;
- არ შესრულდა – 13;
- ვერ დადგინდა – 29.

ყველა ღონისძიებების შესრულების სტატუსი პროცენტულად კი შემდეგნაირად გადანაწილდა:



როგორც დიაგრამიდან ჩანს, საკმაოდ მაღალია იმ ღონისძიებების მაჩვენებელი, რომელთა შესრულების სტატუსი ვერ დადგინდა. ეს კი, ერთი მხრივ, საჯარო ინფორმაციის ხელმიუწვდომლობაზე მიუთითებს, მეორე მხრივ, კი ბადებს ეჭვს, რომ ამ კატეგორიაში შედის შეუსრულებელი ღონისძიებებიც. შესაბამისად, ფაქტობრივად შესაძლოა გაცილებით მაღალი იყოს შეუსრულებელი აქტივობების მაჩვენებელი.

უნწყებების მიხედვით ღონისძიებების შესრულების სტატუსი შემდეგნაირად გადანაწილდა:³⁷



დიაგრამიდან ჩანს, რომ შესრულების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი იუსტიციის სამინისტროს, აგრეთვე დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის, ყველაზე დაბალი კი – ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შესასრულებელ ღონისძიებებთან მიმართებით გამოვლინდა, თუმცა საჯარო ინფორმაციის არასრულყოფილად მოწოდების გამო ეს მონაცემები შესაძლოა ზუსტად არ ასახავდეს შესრულების ფაქტობრივ მდგომარეობას.

37 დიაგრამაში წარმოდგენილია მხოლოდ ის უწყებები, რომლებიც პასუხისმგებელი იყვნენ მინიმუმ 5 ღონისძიების შესრულებაზე. დიაგრამებში ზოგიერთი უწყების სახელმწოდება შემოკლებულია: ცენტრ-ნარკოვიტარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი; საბჭო – ნარკომანიასთანბრძოლის ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო; MHPA-შსს ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი; NCDC-სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი.

სოციალური სამართლიანობის ცენტრი საზოგადოების ინფორმირებულობისა და სამოქმედო გეგმის შესრულების სრულყოფილი მონიტორინგის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, მოუწოდებს ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორის საბჭოში შემავალ უწყებებს:

- გააუმჯობესონ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხი;
- საანგარიშო პერიოდის გასვლის შემდეგ პროაქტიულად გამოაქვეყნონ შესრულებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- კონკრეტული ფორმით განერონ სამოქმედო გეგმის ინდიკატორები და სამიზნე მონაცემები;
- სამოქმედო გეგმაში დააკონკრეტონ ღონისძიებების შესრულების ვადა;
- სამოქმედო გეგმაში განსაზღვრონ ამოცანისთვის ან ღონისძიებისთვის საჭირო ბიუჯეტის უშუალო წარმომავლობა და მოცულობა.

დანართები

დანართი N1

1. პრევენცია					
განსახორციელებელი ღონისძიებები	შეფასების ინდიკატორები	საბაზისო მონაცემები ³⁸	სამიზნე მონაცემები ³⁹	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების სტატუსი
1.1.3 მოსახლეობის ინფორმირება ნარკოვითარების თაობაზე	საინფორმაციო დოკუმენტებისა და მიწოდებული ინფორმაციის რაოდენობა.	სახელმწიფო უწყებათა ვებგვერდებზე განთავსებულია და პრო-აქტიულად გამოქვეყნებულია ინფორმაცია	ვებგვერდებზე განთავსებული საინფორმაციო დოკუმენტებისა და პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის რაოდენობა	7 დანესებულე-ბა ⁴⁰	ნაწილობრივ შესრულდა
1.2.1 პრევენციული პროგრამების დანერგვა საპილოტე სკოლებში	პროგრამებში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა (პროგრამის დანერგვა 8-მდე საპილოტე სკოლაში)	შემუშავებულია პრევენციული პროგრამები 11-13 წლისა და 13 წელს ზემოთ მოზარდებისათვის	8-მდე საპილოტე სკოლაში დანერგილია მტკიცებულებითი პროგრამები	განათლების, სამინისტრო; მანდატურის სამსახური.	შესრულდა
1.2.2 პირველადი ჯანდაცვის რგოლში სკრინინგის ინსტრუმენტების გამოყენების გეგმის შემუშავება	სკრინინგის გამოყენების გეგმის შემუშავება	ჯანდაცვის პირველად რგოლში არ არსებობს სკრინინგის გამოყენების გეგმა	შემუშავებულია სკრინინგის გამოყენების გეგმა	ჯანდაცვის სამინისტრო	ვერ დადგინდა
1.2.3 პირველადი ჯანდაცვის სერვისების ინტეგრირებული ზრუნვის ხელშეწყობა	მედპერსონალისათვის ჩატარებული ტრენინგების/კურსების რაოდენობა	ხორციელდება მედპერსონალის პერიოდული სწავლება	სწავლება ⁴¹ ჩატარდა განათლებისა და ჯანდაცვის მუშაკებს საქართველოს ყველა რეგიონში.	3 დანესებულე-ბა ⁴²	ვერ დადგინდა
1.2.4 მეორეული და მესამეული ჯანდაცვის რგოლში სკრინინგის მექანიზმის დანერგვა	მექანიზმის შექმნა, დანერგვა, იმპლემენტირება	არ არსებობს სკრინინგის დოკუმენტი	ინსტრუმენტი შემქნილი, დანერგილი და იმპლემენტირებულია	ჯანდაცვის სამინისტრო	ვერ დადგინდა

38 იგულისხმება 2020 წლის ბოლოსთვის არსებული მონაცემები.

39 იგულისხმება 2022 წლის ბოლოსთვის არსებული მონაცემები.

40 იუსტიციის სამინისტრო, ჯანდაცვის სამინისტრო, განათლების სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა, შემოსავლების სამსახური, მანდატურის სამსახური.

41 სწავლება ფსიქოაქტიური ნივთიერებების ავადმომხარებასთან დაკავშირებულ რისკებსა და ადრეულ გამოვლენაზე.

42 ჯანდაცვის სამინისტრო; ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი, განათლების სამინისტრო.

1.2.5	იმ სასწავლო კურსების რაოდენობა, რომლებშიც ასახულია პრევენციის სწავლების საკითხები	პრევენციის სწავლების საკითხები ასახულია უსდ-ის ⁴³ სასწავლო კურსებში	პრევენციის სწავლების საკითხები ასახული და შენარჩუნებულია 3 უსდ-ს სასწავლო კურსში	განათლების სამინისტრო; ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი	შესრულდა	
1.2.6	რთული ქცევისა და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნებისთვის ფსიქოაქტიური ნივთიერებების ავადმომხარების პრევენციის მიზნით ღონისძიებების დაგეგმვა	ერთიან რე-სოციალიზაციარეაბილიტაციის ღონისძიებებში ჩართულია 436 პირი	რთული ქცევის მქონე და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების ჩართვა გრძელდება	პრობაციის სააგენტო; განათლების სამინისტრო.	შესრულდა	
1.3.1	ადიქციის საკითხებზე მასწავლებელთა გადამზადება	კურსებში ჩართულ სკოლათა რაოდენობა და გადამზადებულ მასწავლებელთა % მაჩვენებელი	სწავლება შეფერხდა კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების ფონზე	გზამკვლევის შესაბამისად გადამზადებული სკოლის მასწავლებელთა რაოდენობა	განათლების სამინისტრო; ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი	ვერ დადგინდა
